დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 13 000(ცამეტი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა

ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 1000 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის (დედა/მამა, მეუღლე) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ქორწინების მოწმობის ასლი ან და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

დ) ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი

1.ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე